

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №11

2010 წლის 30 ნოემბერი

ქ. თბილისი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის 4¹ პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესი თანდართულ დანართებთან ერთად (დანართი №1 და №2).

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 17 ნოემბრის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 17.11.2011 წ.

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ტ. ურჯუმელაშვილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესი (შემდგომში – წესი) შემუშავებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის 4¹ პუნქტის შესაბამისად და განსაზღვრავს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს (შემდგომში – საბჭო) საქმიანობის წესსა და სამართლებრივ საფუძვლებს. წესი ვრცელდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცედურებთან დაკავშირებულ დავებზე.

2. შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის მიზანია მათი სწრაფად და სამართლიანად გადაწყვეტა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საწყისებზე.

3. საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ წესითა, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. საბჭო თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და არ ექვემდებარება არც ერთ სხვა ორგანოს ან/და თანამდებობის პირს.

4. დავებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მიღება/გაგზავნა შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონულად, სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდის www.procurement.gov.ge მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია ოფიციალურად მიღებულად/გაგზავნილად ჩაითვლება მისი ვებგვერდზე განთავსებისთანავე.

5. საჩივარი მიღებულად ითვლება მისი ამ წესის შესაბამისად დასაშვებად მიჩნევის მომენტიდან.

6. მხარეები უფლებამოსილი არიან, გაასაჩივრონ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 8 ივლისის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 11.07.2011 წ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 25 სექტემბრის ბრძანება №9 - ვებგვერდი, 26.09.2014 წ.

მუხლი 2. გასაჩივრების უფლება

1. გამარტივებული ელექტრონული ტენდერისათვის ან ელექტრონული ტენდერისათვის „ტენდერი არ შედგა“ ან „ტენდერი შეწყვეტილია“ სტატუსების მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნული სტატუსების მინიჭებამდე, ხოლო დანარჩენ სხვა შემთხვევებში – სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველს ან პრეტენდენტს შეუძლია გაასაჩივროს შემსყიდველი ორგანიზაციის ან სატენდერო კომისიის ქმედება საბჭოში, თუ მიაჩნია, რომ შესყიდვის პროცედურების მიმდინარეობისას დაირღვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესები ან/და შეილახა მისი უფლებები.

1¹. შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო კომისიის ქმედების გასაჩივრება შესაძლებელია შესაბამისი გადაწყვეტილების შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სისტემაში ატვირთვიდან არაუგვიანეს 15 დღეში.



2. შესყიდვებში მონაწილეობის მსურველის ან პრეტენდენტის მიერ შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედების გასაჩივრების შემთხვევაში, შესყიდვების პროცედურების შეჩერება დასაშვებია მხოლოდ ელექტრონული ვაჭრობის დასრულების შემდგომ.

3. გასაჩივრებას არ ექვემდებარება ქმედება, თუ პრეტენზია ეხება:

ა) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების დაცვით შესყიდვის საშუალების შერჩევას;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებას შესყიდვის პროცედურის შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ, რომელიც მიღებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით;

4. საჩივარი საბჭოში წარდგენილ უნდა იქნეს ელექტრონულად, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო განცხადებაში არსებული სისტემური დილაკის მეშვეობით. საჩივარს უნდა ჰქონდეს სამართლებრივი საფუძველი და საბჭოში წარდგენილ უნდა იქნეს დანართ №1-ით დამტკიცებული ფორმით და დანართი № 2-ის შესაბამისად. საბჭოში საჩივრის წარდგენა შესაძლებელია 09:00-დან 18:00 საათამდე, შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა.

5. ზარალი, რომელიც დავის განხილვის შედეგად შეიძლება აუნაზღაურდეს მომჩივანს, უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებით და არ უნდა ითვალისწინებდეს სავარაუდო მოგების ანაზღაურებას.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 8 ივლისის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 11.07.2011 წ.
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 17 ნოემბრის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 17.11.2011 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 6 ივნისის ბრძანება №6 - ვებგვერდი, 07.06.2012 წ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 25 სექტემბრის ბრძანება №9 - ვებგვერდი, 26.09.2014 წ.

მუხლი 3. საბჭო

1. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება ექვსი წევრით. საბჭოს შემადგენლობაში პარიტეტული პრინციპით შედიან სააგენტოსა და არასამთავრობო სექტორის (სამოქალაქო საზოგადოების) წარმომადგენლები.

2. საბჭოს თავმჯდომარეობს სააგენტოს თავმჯდომარე. სააგენტოს თავმჯდომარე სააგენტოს თანამშრომელთა შემადგენლობიდან ნიშნავს საბჭოს ორ წევრს ერთი წლის ვადით.

3. არასამთავრობო სექტორის (სამოქალაქო საზოგადოების) სამი წარმომადგენელი საბჭოს წევრად არასამთავრობო სექტორის (სამოქალაქო საზოგადოების) მაქსიმალურად ფართო შემადგენლობის მიერ შეირჩევა როტაციის პრინციპით, ერთი წლის ვადით და შერჩეული წევრების სია წარედგინება საბჭოს აპარატს. საბჭოს აპარატი აღნიშნულ კანდიდატურებს დასამტკიცებლად წარუდგენს სააგენტოს თავმჯდომარეს. საბჭოს არჩევნები ტარდება საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე სულ ცოტა ოცდაათი დღით ადრე. იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხდა არჩევნების ჩატარება ან საბჭოს წევრის არჩევა, საბჭოს შესაბამის წევრს უფლებამოსილება უგრძელდება საბჭოს ახლადარჩეული წევრის დამტკიცებამდე, მაგრამ არა უმეტეს ექვსი თვის ვადით.

4. ამ წესის მე -3 მუხლის მე -3 პუნქტით განსაზღვრული საბჭოს წევრი უფლებამოსილია სააგენტოს თავმჯდომარის სახელზე პირადი განცხადების საფუძველზე გამოვიდეს საბჭოდან. ასეთ შემთხვევაში საბჭოს შემადგენლობის შევსება ხორციელდება ამ წესის შესაბამისად.

5. ამ წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ საბჭოს წევრს უფლებამოსილება უწყდება, თუ იგი საბჭოს სხდომაში არასაპატიო მიზეზით სამჯერ არ მიიღებს მონაწილეობას. ასეთ შემთხვევაში საბჭოს შემადგენლობის შევსება ხორციელდება ამ წესის შესაბამისად.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 8 ივლისის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 11.07.2011 წ.
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 17 ნოემბრის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 17.11.2011 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 6 დეკემბრის ბრძანება №14 - ვებგვერდი, 07.12.2012 წ.

მუხლი 4. საბჭოს აპარატის სტრუქტურა და საქმიანობის წესი

1. სააგენტოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება საბჭოს აპარატი, რომელიც შედგება სააგენტოს თანამშრომლებისაგან. საბჭოს აპარატი ახორციელებს დავების განხილვის მომზადების შიდაუწყებრივ პროცედურებს.

2. საბჭოს აპარატი, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

ა) საჩივრის დასაშვებობის დადგენის მიზნით, განიხილავს სააგენტოში შემოსულ საჩივრისა და თანდართული მასალების შესაბამისობას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლით და ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან. საჩივრის დაუშვებლად ცნობის შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობება მომჩივანს კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებით (ელ.ფოსტა, ტელეფონი, მოკლე ტექსტური შეტყობინება). აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული ინფორმაცია ოფიციალურად გაგზავნილად



ჩათვლება მისი ვებგვერდზე განთავსებისთანავე;

ბ) დანართი №1 -ით დადგენილი ფორმის დაუცველად წარმოდგენილი საჩივრის შემთხვევაში, აცნობებს აღნიშნულის თაობაზე მომჩივანს კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებით (ელ. ფოსტა, ტელეფონი, მოკლე ტექსტური შეტყობინება) და განუსაზღვრავს მომჩივანს ხარვეზის გამოსასწორებელ ვადას, არა უმეტეს მომდევნო სამუშაო დღისა. მომჩივანის მიერ, დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში საბჭოს აპარატი საჩივარს ცნობს დაუშვებლად, რის შესახებაც დაუყოვნებლივ აცნობებს მომჩივანს ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით. ხარვეზის არსებობის შემთხვევაში დავის განხილვის ვადის ათვლა იწყება ხარვეზის გამოსწორების შემდეგ მისი დასაშვებად ცნობის მომენტიდან;

გ) მიღებული საჩივრის დასაშვებად მიჩნევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ იღებს შესაბამის ზომებს, რათა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდგომში – სისტემა) მეშვეობით მოხდეს შესაბამისი შესყიდვის პროცედურების შეჩერება;

დ) უზრუნველყოფს საბჭოს სხდომების ორგანიზებას და მხარეების (მომჩივანი, მოპასუხე) და დაინტერესებულ პირთა (არსებობის შემთხვევაში) საბჭოს სხდომაზე მოწვევას;

3. დავის განხილველ სხდომაზე აპარატის წევრი საბჭოს წევრებს მოახსენებს ინფორმაციას საქმის შინაარსის, სხდომაზე დამსწრეთა ვინაობისა და მათი უფლებამოსილების თაობაზე;

4. შესყიდვებთან დაკავშირებული საჩივრის დასაშვებად მიჩნევისთანავე, აღნიშნულის თაობაზე ეცნობებათ საბჭოს წევრებს კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებით (ელ.ფოსტა, ტელეფონი, მოკლე ტექსტური შეტყობინება) და მიეთითებათ საჩივრის და მასზე თანდართული მასალების (არსებობის შემთხვევაში) გაცნობის შესაძლებლობის თაობაზე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 17 ნოემბრის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 17.11.2011 წ.

მუხლი 5. საბჭოს სხდომა

1. საბჭოს სხდომას უძღვება საბჭოს თავმჯდომარე.

2. საბჭო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება არანაკლებ სამი წევრი.

3. საბჭო დავას იხილავს და გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის მიღებიდან ათი სამუშაო დღის ვადაში. საბჭოს უფლება აქვს გამართოს მოსამზადებელი სხდომა.

4. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, საბჭოს სხდომაზე შეიძლება მოწვეულ იქნეს ეს სპეციალისტი, ექსპერტი ან/და თარჯიმანი მხარის ან საბჭოს ინიციატივით.

5. საბჭოს თავმჯდომარეს უფლება აქვს საბჭოს სხდომა დაატოვებინოს წესრიგის დამრღვევს.

6. ამ წესის მე -4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, მომჩივანი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი საბჭოს მოახსენებს იმ გარემოებებისა და მტკიცებულებების შესახებ, რომლებზე დაყრდნობითაც იგი მოითხოვს საჩივრის დაკმაყოფილებას.

7. მომჩივანის მოხსენების შემდეგ, მოპასუხე ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი მოახსენებს საბჭოს საკუთარ პოზიციას მტკიცებულებებზე მითითებით.

8. მომჩივნისა და მოპასუხის მოხსენებების შემდეგ, საბჭოს წევრები გამოხატავენ თავიანთ პოზიციას საჩივართან დაკავშირებით, მოპასუხის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და მომჩივნის მიერ საჩივრის დაკმაყოფილების გარემოებებისა და მტკიცებულებების შესახებ.

9. მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს დაუსვან კითხვები სხდომის თავმჯდომარის თანხმობით. საბჭოს წევრს უფლება აქვს ნებისმიერ დროს დაუსვას მხარეს კითხვა.

10. მხარეთა პოზიციების მოსმენის შემდეგ, გადაწყვეტილების მიღების მიზნით, საბჭოს წევრების მონაწილეობით იმართება თათბირი საბჭოზე გამოთქმულ მოსაზრებებზე.

11. საბჭოს სხდომა შესაძლებელია წარიმართოს ელექტრონული კომუნიკაციების ისეთი საშუალებების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოს სხდომის ყველა მონაწილის ერთდროულ აუდიო -ვიდეო კავშირსა და დოკუმენტების გადაგზავნის შესაძლებლობას ონლაინ - რეჟიმში (ვიდეკონფერენცია).

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 8 ივლისის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 11.07.2011 წ.

მუხლი 6. საბჭოს საქმიანობის წესი

1. მომჩივანსა და მოპასუხეს, ან მათ უფლებამოსილ წარმომადგენელს, საბჭოს სხდომის გამართვის დრო და ადგილი ეცნობება კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებით (ელ.ფოსტა, ტელეფონი, მოკლე ტექსტური შეტყობინება). თუ ამ პუნქტში აღნიშნულ პირებთან დაკავშირება ვერ ხერხდება, დავა განიხილება მათი მონაწილეობის გარეშე.

2. საბჭოში წარდგენილი საჩივრის განხილვის სხდომის დღეს ნიშნავს საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოს აპარატის წარდგინების საფუძველზე.

3. საბჭოს სხდომა ტარდება საბჭოში (ქ. თბილისი, რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. №8). იმ შემთხვევაში, თუ სხდომა ტარდება წესის მე-5 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრს/წევრებს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საბჭოს სხდომაში ვიდეკონფერენციის საშუალებით.

4. საბჭო საჩივარს განიხილავს ღია სხდომაზე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. საბჭოს ყოველი წევრი საჩივარსა და წარმოდგენილ მტკიცებულებებს აფასებს შინაგანი რწმენით, რაც უნდა იმყარებოდეს დავის ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას.



მუხლი 7. საბჭოს გადაწყვეტილება

1. საბჭო უფლებამოსილია:
 - ა) სრულად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს საჩივარი;
 - ბ) არ დააკმაყოფილოს საჩივარი.
2. თუ საბჭოს მიერ საჩივრის და მასთან დაკავშირებული გარემოებების დეტალური შესწავლის შედეგად დადასტურდება საჩივრის სამართლიანობა, საბჭო უფლებამოსილია:
 - ა) მიუთითოს შემსყიდველ ორგანიზაციას მის არასწორ ქმედებაზე და მოსთხოვოს შესყიდვის პროცედურების კანონმდებლობის დაცვით განხორციელება;
 - ბ) მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვა ან გაუქმება;
 - გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ორგანოების წინაშე დააყენოს შესყიდვის მონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხი.
3. საბჭოს გადაწყვეტილებაში აღნიშნული უნდა იყოს:
 - ა) მისი მიღების დრო და ადგილი, საბჭოს წევრთა ვინაობა, მომჩივნისა და მოპასუხის, მათი უფლებამოსილი წარმომადგენლებისა და საქმეში მონაწილე სხვა პირთა ვინაობა და დავის საგანი;
 - ბ) საბჭოს მიერ დადგენილი გარემოება ან/და მტკიცებულება, რის საფუძველზეც მოხდა ამა თუ იმ მტკიცებულების უარყოფა ან დადასტურება, ასევე, სამართლებრივი აქტის შესაბამისი ნორმა, რომლითაც ხელმძღვანელობდა იგი;
 - გ) საბჭოს გადაწყვეტილება საჩივრის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ;
 - დ) მისი გასაჩივრების ვადა და წესი.
4. საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა. საბჭოს წევრს უფლება არ აქვს თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. საბჭოს წევრს, რომელიც არ ეთანხმება მიღებულ გადაწყვეტილებას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი, რაც დაერთება მიღებულ გადაწყვეტილებას.
5. საბჭოს გადაწყვეტილებას ხელს აწერს საბჭოს სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი. წესის მე -5 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ვიდეოკენფერენციაში მონაწილე საბჭოს წევრს გადაწყვეტილება ეგზავნება ელ. ფოსტის საშუალებით საბჭოს აპარატის მიერ, რომელშიც აისახება საბჭოს თითოეული წევრის მიერ სხდომაზე გამოხატული პოზიცია.
6. ვიდეოკენფერენციაში მონაწილე საბჭოს წევრი ამ მუხლის მე -5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ელ. ფოსტის მეშვეობით ადასტურებს, რომ გადაწყვეტილებაში ასახულია მის მიერ საბჭოს სხდომაზე გამოხატული პოზიცია, რაც უთანაბრდება მის მიერ გადაწყვეტილებაზე ხელმოწერას.
7. საბჭოს გადაწყვეტილება საჯაროა და მისი მიღებისთანავე განთავსდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.
8. მხარეები უფლებამოსილნი არიან გაასაჩივრონ საბჭოს გადაწყვეტილება სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. ცვლილებების შეტანის წესი

წესში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ან/და მისი ძალადაკარგულად გამოცხადება ხდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 6 დეკემბრის ბრძანება №14 - ვებგვერდი, 07.12.2012 წ.



სადავო ტენდერის ბმული:
<http://tenders.gov.ge/app7/ge-63008>

სადავო ტენდერის #
SPA11000000

შომწოდებლის სახელი გვარი / სახელწოდება

პირადი / საიდენტიფიკაციო ნომერი

მისამართი

მობილური ტელ. ნომერი
+99522393933

ფაქსითელი ტელ. ნომერი

ელ-ფოსტა

შესყიდველი ორგანიზაციის ბრელი დასახელება

საიურის არხი

საიურის სამართლებრივი სადოკუმენტო კატეგორია

საიურის თანდართული მასალების ჩამოსახვალი

<input type="text"/>	Browse...
<input type="text"/>	Browse...
<input type="text"/>	Browse...

საიურის წარმდგენის სახელი გვარი

საიურის წარმდგენის პირადი ნომერი

დამატება გაშლენა

ტაროვლად წერა

☑

თქვენი რეკლამა თქვენი რეკლამა თქვენი რეკლამა თქვენი რეკლამა თქვენი რეკლამა

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაცვის საბჭო. 2010 - 2011

კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა დაუცველად წარმოდგენილი საჩივარი დაუშვებლად იქნება ცნობილი და არ დაექვემდებარება განხილვას.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 8 ივლისის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 11.07.2011 წ.
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 17 ნოემბრის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 17.11.2011 წ.



სატენდერო განცხადება	სატენდერო დოკუმენტაცია	შეთავაზებები	შედეგები
ტენდერის ტიპი ***			
სატენდერო განცხადების ნომერი ***			
ტენდერის შიშლინარეობის სტატუსი ***			
შესყიდველი ***			
ტენდერის გამოცხადების თარიღი ***			
წინადადებების მიღება იწყება ***			
წინადადებების მიღება მთავრდება ***			
შესყიდვის საგარეო დორეზლუება ***			
სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს ***			
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი			
* ***			
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი			
* ***			
დაშატებითი ინფორმაცია ***			
<div style="border: 1px dashed gray; height: 20px;"></div>			
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა ***			
შიწოდების ვადა ***			
შეთავაზების ფასის კლების ბიჭი ***			
გარანტიის ოდენობა ***			
გარანტიის მოქმედების ვადა ***			
ტენდერის ბმული: ***		<input type="button" value="გაუგზავნე შევობარს"/>	
		განცხადების ჩამტრა ***	
		ბოლო შესწორება ***	
<input type="button" value="მეტყუა"/>	<input type="button" value="ტრონოლოგია"/>	<input checked="" type="button" value="გაასაჩივრე დავების განხილვის საბტომა"/>	



სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო :: 2010 :: ტენდერის პროცედურების აღიგებების შემთხვევაში დარეკვი 291-01-48

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 17 ნოემბრის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 17.11.2011 წ.

